



ქავკასი

1991
სამშაბათი
14
მ ა ი ს ი
№ 57 110450
ფანი 5 კაპ.

ფუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

10 მბინს გაიშარა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგე სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რესპუბლიკის მთავრობის წევრები, აგრეთვე ქალაქებისა და რაიონების პრეზენტები.

სხდომის დაწყების წინ მისმა მონაწილეებმა წუთიერი დუმილით მიიღეს პატივი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ტრადიციულად დადებული წევრის ნოდარ იმნაძისა და იმათ ხსოვნას, ვინც დაიღუპა საქართველოში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად.

უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიისა და დეპუტატის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ბიძინა დანაძის წარდგინებით დეპუტატებმა განიხილეს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის თენგიზ ბეჟაშვილის უღირსი ქცევის საკითხი, რაც გამოიხატა მის მიერ ჩადენილი ამორალური საქციელით, და მიიღეს გადაწყვეტილება მისი დეპუტატის უფლებამოსილება შეწყვეტის შესახებ. ვადამდე შეწყდა აგრეთვე უზენაესი საბჭოს წევრის გივი თალაკვაძის სადეპუტატო უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრის მოადგილედ მის დანიშნავსთან დაკავშირებით.

შემდეგ სიტყვა მიეცა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანს გიორგი გულბანს, რომელმაც სესიის განსახილველად გამოიტანა რამდენიმე საკითხი. გაითვალისწინეს რა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ, მიიღეს გადაწყვეტილება № 86, მართლისა და № 87 შესახებ საარჩევნო ოქმებში გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად არჩევნების გამართვის

ვადს გადატანის შესახებ. არჩევნები დაიწყო მინდინარე წლის 21 ივლისისათვის. უზენაესმა საბჭომ შეიტანა დამატება „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ კანონში, მიიღო დადგენილება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების პირველი სესიების მოწვევის შესახებ.

სესიამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის შექმნის საკითხი. აზრთა გაზიარების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ბიმურჯა აფრასიძე, დავით კუპრეიშვილი, აპოლონ სილაგაძე, ნოდარ ნათაძე, ლევან ალექსიძე, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მიიღეს შესაბამისი დადგენილება. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნემო ბურჭულაძის წინადადებით, ამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს დეპუტატი ავთანდილ იმნაძე. მოითხოვა რა სიტყვა, მან ილაპარაკა კომისიის მომავალ საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე, წარმოადგინა მისი წევრები. ამ კომისიის შემადგენლობისა და მასში წარმომადგენლობის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები თედო ნინიძე, თამაზ ჯანელიძე, რომან გოცირიძე და სხვები.

უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ. ამ საკითხზე აზრთა გაზიარების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ბაკურ გულუა, ვაჟა გურგენიძე, ავთანდილ საყვარელიძე და სხვები, გადაწყდა მიიღონ ეს წესი პირველი წაკითხვით და გამოაკვეყნონ ავი საყოველთაო განხილვისათვის.

უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ

დავით კუპრეიშვილმა დეპუტატთა განსახილველად წარმოადგინა საკითხი „მინისტრის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის გამოყენების წესის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ. ამ საკითხზე გამოვიდნენ დეპუტატები პაატა კოლუაშვილი, ანზორ საქანდელიძე, თამაზ ობგაძე, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი, რის შემდეგაც მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე განცხადებებითა და წინადადებით სესიაზე გამოვიდნენ ქალაქ თბილისის პრეზენტები ირაკლი ანდრიაძე, ხაჩბერის რაიონის პრეზენტები ბესიკ ქუთათელაძე, დეპუტატები რომან შებერველი, რომან გოცირიძე, ვაჟა გურგენიძე, შოთა გაფრინდაშვილი, ალექსანდრე კავსაძე, ნოდარ ნათაძე, რომერტ პეტრიაშვილი და სხვები. მათ მიერ დასმულ ზოგიერთ საკითხს მანუათვე გასცეს პასუხი უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებმა ტარიელ გელანტიამ და ნუგზარ მოლოდინაშვილმა, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა.

რესპუბლიკაში მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის მიმდინარეობის შესახებ უზენაესი საბჭოს აცნობა ამ სტიქიური უბედურების გამო შექმნილი საზოგადოებრივი კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ თენგიზ სიგუამ. მანვე უპასუხა დეპუტატებისათვის მრავალ საინტერესო კითხვას. ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგე სხდომა მუშაობა დაამთავრა. საქმინფორმში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

საქართველოს კრედიტის არჩევნების ქალაქ ფუგდიდის ცენტრალური საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე:
— დურჯია ილუშა შალვას ძე— ადგილმდებარეობის კომპლექსის ინჟინერი, მცხ. ჩირუას ქ. № 4 ბ. 15. წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოება.
მოადგილე:
— ფიფია რევაზ დავითის ძე— ფიფიას ქარხნის ინჟინერი, მცხოვრები სოფ. ჩხორიაში წარადგინა მერაბ კოსტავას საზოგადოება.
მდივანი:
ქანთარია ნინო გიორგის ასული— ციხის ჩაის ფაბრიკის ლაბორანტი, მცხოვრები ნინო-გვილის № 90. წარადგინა საქართველოს ეროვნული ფრონტი— რადიკალურმა კავშირმა.
წევრები:
— ბენდელიანი ზოია სვეტიცხოველს ასული— საკონსერვო ქარხნის ბრიკადირი, მცხოვრები კუბის-შვილის ქ. წარადგინა საქართველოს ეროვნულ-ლიბერალურ

მა კავშირმა, შვანია თამარიკო ნიკოლოზის ასული— „ზუგდიდელის“ მაღაზიის გამყიდველი, მცხოვრები ქ. ზუგდიდი, ბუციას ქუჩა № 4-ში, წარადგინა ჭელინკის კავშირმა.
ბულია ვახტანგ ვლადიმერის ძე— ფიფიას ქარხნის ცვლის უფროსი, მცხ. ვრისთავის ქ. № 35-ში, წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირმა.
შეროზია დოდო გიორგის ასული— „ზუგდიდელის“ იმპონისტი, მცხ. ზუგდიდი თავისუფლების 47. წარადგინა საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანულმა კავშირმა.
ჭირია ნანა ვალერიანის ასული— ლუდის კომბინატის ინჟინერ-ტექნოლოგი, მცხოვრები რუსთაველის ქ. № 55-ში. უპარტიო.
ბიჭია თამაზ მიხეილის ძე— „ზუგდიდელის“ სამართველოს უფროსის მოადგილე, მცხ.

ოვრები ნინოშვილის ქ. № 21-ში, უპარტიო.
ჭირია ზურაბ ვარლამის ძე— სმდმს-ის განყოფილების მეცნიერი— თანამშრომელი, მცხოვრები თაბუკაშვილის ქ. № 29-ში. უპარტიო.
როგავა შაქრო იროდის ძე— ტელეცენტრის მექანიკოსი, მცხოვრები ნინოშვილის ქ. № 83-ში უპარტიო.
პერტაბია შოია ალექსანდრეს ასული— პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი, მცხოვრები ქ. ზუგდიდი, თათარშვილის ქ. № 19-ში. საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა.
ჩხეტია ნუგზარი თორნიკის ძე— მხატვარი, მცხოვრები პაპანიძის ქ. № 57-ში, წარადგინა სახალხო ფრონტის რეგიონალურმა ორგანიზაციამ.

ზუგდიდის რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების კოლექტივი ბატონ ზვიად გამსახურდიას პიროვნებაში ხედავს ერის ქემშარბთა ერთიანობის და საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევას, მის ეკონომიკურ აღორძინებას, ჩვენს სამშობლოში დაგროვილი მწვევე პრობლემებს.

მხარს ვუჭერთ ზვიად გამსახურდიას

წინამძღოლს, სამშობლოზე უხაზვლეროდ შეუყარებულ ადამიანს და მიიჩნევს მას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის ყველაზე ღირსეულ კანდიდატად საქართველოში ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებული ლიდერი, ნამდვილი დემოკრატი, გამჭრიახი პოლიტიკური მოღვაწე, ქემშარბთად ადამიანური თვისებების მატარებელი ქართველი, ბატონი ზვიად გამსახურდია შეძლებს ქართველ

ის მოგვარებას. ვთვლით, რომ დღეს ზვიად გამსახურდიას აქვს ყველაზე მეტი მორალური და ზნეობრივი უფლება უხელმძღვანელოს საქართველოს, ამიტომ, ზუგდიდის რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების კოლექტივი 26 მაისს გააკეთებს ღირსეულ არჩევანს და ხმას მისცემს ზვიად გამსახურდიას.

ზუგდიდის რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების კოლექტივი.

